

დავიბადე 1983 წლის 30 აპრილს ქალაქ ქუთაისში.

2005 წელს დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

2006-2012 წლებში ვმუშაობდი თბილისის სააპელაციო სასამართლოში სხვადასხვა თანამდებობებზე, კერძოდ, ვიყავი აღნიშნული სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების სამოქალაქო სექტორის წამყვანი სპეციალისტი, სამოქალაქო პალატის სხდომის მდივანი და მოსამართლის თანაშემწე.

2012-2013 წლებში ვიყავი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

2013-2015 წლებში ვმუშაობდი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის კონსულტანტად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით 2015 წლის 1 აგვისტოდან ვარ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.

მყავს მეუღლე და ორი შვილი.